საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №134/17

მოსამართლე --- მიმართ დისციპლინურ დევნის შეწყვეტის თაობაზე

--- 2017 წლის 27 ივლისის --- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №134/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 02 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 02 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება (№134/17), მოსამართლე --- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

1. **საჩივრებში მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2015 წლის 1 მაისს შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომელიც დაეწერა მოსამართლე ---. 2015 წლის 27 ნოემბერს ჩაინიშნა პირველი სასამართლო სხდომა თუმცა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გასაჩივრდა უზრუნველყოფის ღონისძიება და საქმე გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს. საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების შემდეგ, 2016 წლის 31 მარტს მოსამართლე --- გამოიტანა განჩინება უზრუნველყოფის

ღონისძიების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამის შემდეგ, საქმეზე სასამართლო სხდომა არ ჩატარებულა და საქმე განსახილველად გადაეცა ---. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის 5 თვის განმავლობაში უშედეგოდ ელოდა სხდომის დანიშვნას და 2017 წლის 26 აპრილს სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ განცხადებითაც მიმართა მოსამართლეს თუმცა, მიუხედავად არაერთი (მათ შორის მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით) მოთხოვნისა, საქმე განსახილველად ისე გადაეცა მესამე მოსამართლეს, ---, რომ საქმეზე არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა. საჩივრის ავტორი იძულებული შეიქმნა 2017 წლის 21 ივლისს კიდევ ერთხელ დაეწერა განცხადება საქმის განხილვის დაჩქარების თაობაზე, თუმცა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში საჩივრის შეტანის დროისთვის (2017 წლის 27 ივლისი), მას სასამართლოდან არავინ დაკავშირებია.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი უყურადღებობის და საქმის განხილვის გაჭიანურების გამო, ზიანდება მისი ქონებრივი ინტერესი და უფლება. --- განცხადებით, საქმეში წარმოდგენილი (ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს წარედგინა 2016 წლის 21 ნოემბერს) ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თანხა ფინანსური უსახსრობის გამო დროულად ვერ გადაიხადა, რის გამოც 2016 წლის 07 ნოემბერს აღიძრა სასარჩელო წარმოება მის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელი საქმის განხილვა დასრულდა 2017 წლის მარტის თვეში. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შერჩევითი სამართლის პრინციპით.

საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ამ საქმის გაჭიანურებაში ყველაზე ნაკლები წვლილი მიუძღვის მოსამართლე ---, თუმცა, რადგან საქმის გაჭიანურებით საჩივრის ავტორს ადგება როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი, ის იძულებული შეიქმნა მოემართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2015 წლის 20 აპრილს --- განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად მოპასუხის უძრავ ნივთზე ყადაღის დადება მოითხოვა.

2015 წლის 21 აპრილის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა --- განცხადება მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ; განმცხადებელს განემარტა, რომ ვალდებული იყო 10 დღის ვადაში წარედგინა სარჩელი. მოსამართლემ განსაზღვრა, რომ განჩინება შეიძლება გასაჩივრებულიყო მისი ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში.

2015 წლის 21 აპრილის განჩინება მოპასუხეს ჩაბარდა 2015 წლის 22 ოქტომბერს. 2015 წლის 28 ოქტომბერს მოპასუხის --- ს წარმომადგენელმა --- გაასაჩივრა 2015 წლის 21 აპრილის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების

თაობაზე. 2015 წლის 2 ნოემბერს --- ს საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2015 წლის 24 ნოემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის საჩივარი სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და საქმე გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს --- საქმეთა პალატის 2016 წლის 2 თებერვლის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა --- ს წარმომადგენლის --- საჩივარი; გაუქმდა --- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2016 წლის 31 მარტის განჩინებით მოსამართლე --- მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა --- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

2.2 2015 წლის 1 მაისს --- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა --- (მოპასუხე - ---) და მოპასუხისათვის ზიანის თანხის - 24 560 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

2015 წლის 17 ივნისს --- საჯარო შეტყობინების გზით გზავნილის (სარჩელის და თანდართული დოკუმენტების) მოპასუხისათვის ჩაბარების თაობაზე განცხადებით მიმართა მოსამართლე ---. წარმოდგენილი იყო ცნობები იმის შესახებ, რომ მითითებულ მისამართზე მოპასუხეს სასამართლო გზავნილი ვერ ჩაბარდა.

2015 წლის 17 ივლისს სასამართლოს მოხელის მიერ, --- ის დირექტორებს, --- და --- სასამართლო გზავნილები გაეგზავნათ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2015 წლის 21 ივლისს ---, ხოლო 2015 წლის 22 ივლისს --- ჩაბარდათ სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლები. შესაგებელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2015 წლის 29 ივლისს.

2015 წლის 1 სექტემბერს --- შუამდგომლობით მიმართა მოსამართლე --- და საქმეზე დამატებით მტკიცებულებებად მოსარჩელის მიერ საპატრულო პოლიციის გამოძახების დამადასტურებელი დოკუმენტების დართვა მოითხოვა.

2015 წლის 15 ოქტომბერს მოსარჩელის და მოპასუხის წარმომადგენლებს ეცნობათ საქმეზე მოსამზადებელი სხდომის 2015 წლის 27 ნოემბერს ჩანიშვნის თაობაზე.

2016 წლის 16 მაისს --- საქალაქო სასამართლოს --- საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართა მოსამართლე --- თანაშემწემ და ვინაიდან, მოსამართლე --- 2016 წლის 7 მაისიდან ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში, ითხოვა აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

2016 წლის 3 ივნისიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---, ხოლო 2016 წლის 19 სექტემბრიდან 2017 წლის 16 ივნისამდე მოსამართლე ---.

2016 წლის 21 ნოემბერს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მისი ინიციატივით „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე დართვა მოითხოვა. 2017 წლის 26 აპრილს მოსარჩელემ ისევ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა საქმეზე სასამართლო სხდომის დანიშვნა.

2017 წლის 19 ივნისს მოსამართლე --- განცხადებით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვა განტვირთვის მიზნით წინამდებარე საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2017 წლის 24 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2017 წლის 21 ივლისს --- წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა --- და ითხოვა საქმეზე სასამართლო სხდომის ჩანიშვნა. 2017 წლის 24 ივლისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 24 ოქტომბერს. 2017 წლის 21 სექტემბერს მოსამართლე --- მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე ---.

2017 წლის 24 ოქტომბრის სხდომა გადაიდო 2017 წლის 25 ოქტომბერს. 2017 წლის 25 ოქტომბერს მოსამართლე --- მიერ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა. საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად დართვის თაობაზე. ასევე დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე საპატრულო პოლიციის ოქმების მტკიცებულებად დართვის შესახებ. საქმის განხილვა გადაიდო 2018 წლის 30 იანვრისთვის.

2018 წლის 11 იანვარს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული სარჩელი (მოპასუხისათვის - 38 560 ლარის დაკისრების თაობაზე), რომელზეც მოპასუხემ 2018 წლის 9 თებერვალს წარმოადგინა შესაგებელი. --- საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა დასკვნის შედგენის დროისათვის არ იყო დასრულებული.

2.3. 2016 წლის 7 ნოემბერს --- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა --- მოპასუხის - --- მიმართ და ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2017 წლის 6 მარტის განჩინებით (საქმის ნომერი ---) დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგების აქტი და შეწყდა საქმისწარმოება.

2.4. 2016 წლის მე-2 ნახევრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე --- განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 678 საქმე, დაასრულა - 250 საქმე (36.9%). 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე ---

განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 1205 საქმე, დაასრულა - 930 საქმე (77.1%).

3. მოსამართლე --- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე --- მიერ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილია ახსნა-განმარტება, სადაც საქმის განხილვის გაჭიანურების ძირითად მიზეზად, მოსამართლე განსახილველ საქმეთა სიმრავლეს ასახელებს. კერძოდ, განმარტავს, რომ მას 2016 წლის -- -- უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, შეუწყდა სამოსამართლეო უფლებამოსილება. 2016 წლის -- -- ის ისევ დაინიშნა მოსამართლედ და ამ თარიღიდან ისევ შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას. მისთვის საქმეების გასახილველად გადაცემა დაიწყო 2016 წლის აგვისტოს თვიდან. იმავე წლის ნოემბრის თვეში განსახილველად უკვე გადაცემული ქონდა 922 საქმე, რომელთაგანაც, დიდი ნაწილს შეადგენდა 2012-2014 წლის საქმეები. ამდენად, 2015-2016 წლის საქმეებთან შედარებით მოსამართლისათვის პრიორიტეტული იყო იმავე კატეგორიის ჯერ ძველი საქმეების განხილვა. -- -- აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამ გარემოებისა, 2016 წლის ბოლოსთვის მის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 286 საქმე.

--- განმარტებით, 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით განსახილველად გადაეცა 1072 სარჩელი. ამ საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლემ ჩაატარა 524 სხდომა და მიიღო 778 გადაწყვეტილება/განჩინება და ეს იმ ფონზე, რომ არ ყოფილა დარღვეული გადაწყვეტილების/განჩინების დაწერისა და ჩაბარების ვადები და წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა საშუალოდ 400 საქმეს შეადგენდა.

4. დისციპლინური დევნის შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის, „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების“ ფაქტს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით

განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2016 წლის 19 სექტემბრიდან 2017 წლის 16 ივნისამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე ---. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისთვის საქმის გადაცემის დროისათვის, საქმის განხილვა მიმდინარეობდა 1 წელზე და 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. დარღვეული იყო არა მარტო სამოქალაქო საქმის განხილვისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადა, არამედ ის 5 თვიანი ვადაც, რომელიც გათვალისწინებულია რთული კატეგორიის საქმეებისთვის.

არსებული მასალებით დასტურდება, რომ საქმეს --- განიხილავდა 8 თვის და 26 დღის მანძილზე. სარჩელი ეხებოდა ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელის მითითებით, ზიანი მას მიადგა მოპასუხის მიერ მოსარჩელის უძრავ ნივთთან უშუალო საზღვრის მქონე მიწის ნაკვეთზე ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად. წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები (ექსპერტის დასკვნა), რომელიც მოსამართლის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და ტექნიკური ხასიათის ცოდნას მოითხოვდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე შეიძლება რთული კატეგორიის საქმედ ჩაითვალოს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლის ახსნა-განმარტების და მისი დატვირთულობის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების შემთხვევა. არსებულ მოცემულობაში,

საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულმა საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებების, მოსამართლის ახსნა-განმარტების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს, უპირველესად გაითვალისწინა მოსამართლის საქმეთა დატვირთვა, როგორც ობიექტური ხელშემშლელი გარემოება და 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

--- 2017 წლის 27 ივლისის --- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი